



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6

აბაშა, 2021 წლის 19 თებერვალი

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.110.016428) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართი №1-ის 22-ე მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა:

ა) თავშესაფრის გარეშე დარჩენილი მოქალაქის დახმარება გაიცემა ყოველთვიურად ერთ წლამდე ვადით - 300 (სამასი) ლარამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

მამუკა კვიციანი